# სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სასწავლო ბატალიონის
# დებულება

**გორი**
**2017 წელი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. ეს დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) სასწავლო ბატალიონის (შემდგომში - სასწავლო ბატალიონი) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს სასწავლო ბატალიონის საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

2. სასწავლო ბატალიონი წარმოადგენს აკადემიის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

3. სასწავლო ბატალიონი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აკადემიის წესდების, აკადემიის რექტორის (შემდგომში - რექტორი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.

4. სასწავლო ბატალიონი ანგარიშვალდებულია რექტორის და რექტორის სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მქონე მოადგილის წინაშე.

**მუხლი 2. სასწავლო ბატალიონის ამოცანა**

სასწავლო ბატალიონის ამოცანაა იუნკერთა/მსმენელთა მაღალი აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის კონტროლისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

**მუხლი 3. სასწავლო ბატალიონის ძირითადი ფუნქციები**

1. სასწავლო ბატალიონის ძირითადი ფუნქციებია:

ა) სწავლებისა და სწავლის ხარისხის ინტენსიური ზრდა და შეიარაღებული ძალების მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა;

ბ) არსებული სპეციალობების მიხედვით ორგანიზება და კონტროლი;

გ) აკადემიის საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესის განვითარების ხელშეწყობა;

დ) პირადი შემადგენლობის და დამხმარე პერსონალის პროფესიული დონის ამაღლება;

ე) იუნკერთა/მსმენელთა პიროვნული, ზნეობრივი, ინტელექტუალური და პროფესიული დონის ამაღლება;

ვ) სამხედრო პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;

ზ) აკადემიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებით სასწავლო-მატერიალური ბაზის დაგეგმვა დაორგანიზება;

თ) საჭიროების შემთხვევაში ოპერატიული გეგმის/ბრძანების შესაბამისად საბრძოლო ამოცანების შესრულება.

3. თავისი ფუნქციების შესასრულებლად სასწავლო ბატალიონი:

ა) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სასწავლო პროგრამების და სილაბუსების შემუშავებაში, განახლებასა და დახვეწაში;

ბ) უზრუნველყოფს იუნკერთა/მსმენელთა მაღალი აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარებას;

გ) კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს სასწავლო გეგმებს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

დ) ახორციელებს სასწავლო ბატალიონის პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადების ორგანიზებასა და კონტროლს;

ე) კომპეტენციის ფარგლებში აღრიცხავს სასწავლო ბატალიონის შეიარაღებას, საბრძოლო აღჭურვილობას და სხვა ქონებას;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს იუნკერთა/მსმენელთა ფიზიკური მომზადების ორგანიზებას;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით, ამ დებულებითა და რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

**მუხლი 4. სასწავლო ბატალიონის ხელმძღვანელობა**

1. სასწავლო ბატალიონს ხელმძღვანელობს სასწავლო ბატალიონის მეთაური, რომელსაც აკადემიის რექტორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

2. სასწავლო ბატალიონის მეთაური:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სასწავლო ბატალიონის საქმიანობას;

ბ) კონტროლს უწევს სასწავლო ბატალიონში სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და ჩატარებას;

გ) კონტროლს უწევს ინსტრუქტორთა მიერ მეცადინეობების ჩატარებას და მის ხარისხს;

დ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს აკადემიის სასწავლო წლის ძირითადი ღონისძიებების კალენდარული გეგმის შემუშავებას;

ე) სასწავლო ბატალიონის ოპტიმიზაციის მიზნით წარადგენს წინადადებებს საშტატო ნუსხაში ცვლილებებთან დაკავშირებით;

ვ) იუნკერთა/მსმენელთა პიროვნული და პროფესიული თვისებების შესწავლის/დაკვირვების საფუძველზე, მათი თანამდებობრივი გადაადგილების, დაწინაურების, კვალიფიკაციის ამაღლების და შესაბამისი სამხედრო განათლების მიღების განსახორციელებლად უზრუნველყოფს შესაბამისი რეკომენდაცია/დახასიათებების და შეფასების ფორმების მომზადება/წარდგენას;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს აკადემიის სასწავლო ბატალიონის ბიუჯეტის შემუშავებაში;

თ) განსაზღვრავს და ანაწილებს ფუნქციონალურ მოვალეობებს მისდამი დაქვემდებარებულ პირად შემადგენლობას შორის, აძლევს მათ მითითებებს;

ი) კონტროლს უწევს სასწავლო ბატალიონის სტრუქტურული ერთეულების მუშაობას, თანამშრომელთა მიერ ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებასა და დისციპლინის დაცვას;

კ) აკადემიის რექტორს და რექტორის სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მქონე მოადგილეს განსახილველად წარუდგენს წინადადებებს სასწავლო ბატალიონის მუშაობის ორგანიზაციის, დაქვემდებარებული პირადი შემადგენლობის თანამდებობაზე დანიშვნის, განთავისუფლების, გადაადგილების, შენარჩუნების წახალისების ან/და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ;

ლ) ახორციელებს სასწავლო ბატალიონის პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადების დონის ასამაღლებლად და შესანარჩუნებლად შესაბამის ღონისძიებებს;

მ) სასწავლო ბატალიონის მუშაობის წლიურ ანგარიშს წარუდგენს რექტორს და რექტორის სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მქონე მოადგილეს;

ნ) აკონტროლებს დაგეგმილი სასწავლო პროცესის შესრულებას, ორგანიზებას უწევს მის მიმდინარეობას;

ო) უზრუნველყოფს უსაფრთხოების ზომების დაცვას მეცადინეობის ჩატარების დროს;

პ) განიხილავს გამოცდების და შეფასებების შედეგებს და იღებს საჭირო ზომებს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

ჟ) ატარებს შესაბამის ღონისძიებებს იუნკერთა/მსმენელთა მაღალი აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის ასამაღლებლად;

ს) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს იუნკერთა/მსმენელთა ფიზიკური მომზადების ორგანიზებას;

ტ) ახორციელებს აკადემიის წესდებით, ამ დებულებითა და აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა მოვალეობებს;

უ) საბრძოლო ამოცანების შესრულებისას ახორციელებს ბატალიონის მართვას და კონტროლს;

ფ) რექტორის სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მქონე მოადგილესთან შეთანხმებით სასწავლო ბატალიონში აწესებს დღის განრიგს და ახორციელებს მისი დაცვის კონტროლს;

ქ) მონაწილეობს სამხედრო სასწავლებლებსა და სხვადასხვა კურსსზე წარსაგზავნი კანდიდატების შერჩევა-შემოწმებაში;

ღ) კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს რექტორისა და რექტორის სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მქონე მოადგილის მიერ დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.

**მუხლი 5. სასწავლო ბატალიონის დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუნქციები**

1. სასწავლო ბატალიონის დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულებია:

ა) სასწავლო ბატალიონის შტაბი;

ბ) I კურსი;

გ) II კურსი;

დ) III კურსი;

ე) IV კურსი;

ვ) ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსი;

ზ) რეზერვის ოფიცერთა მომზადების კურსი.

2. სასწავლო ბატალიონის დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებია:

**ა. სასწავლო ბატალიონის შტაბი:**

ა.ა) წარმოადგენს სასწავლო ბატალიონის მეთაურის მთავარ დამხმარე სტრუქტურას;

ა.ბ) კომპეტენციის ფარგლებში გეგმავს და კონტროლს უწევს პირადი შემადგენლობის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ა.გ) კომპეტენციის ფარგლებში გეგმავს და კონტროლს უწევს სასწავლო პროცესს;

ა.დ) კომპეტენციის ფარგლებში გეგმავს და კონტროლს უწევს ლოგისტიკური საკითხებს;

ა.ე) კომპეტენციის ფარგლებში გეგმავს და კონტროლს უწევს სასწავლო ბატალიონის მართვის კონტროლის და კომუნიკაციის საშუალებებს;

ა.ვ) შეიმუშავებს და სასწავლო ბატალიონის მეთაურს წარუდგენს სასწავლო ბატალიონის განვითარებისათვის საჭირო გეგმებსა და წინადადებებს.

ა.ზ) აანალიზებს, ამუშავებს და ზედამხედველობს სასწავლო ბატალიონისთვის დასახულ ამოცანებს;

ა.თ) უზრუნველყოფს და აკონტროლებს სასწავლო ბატალიონში წესდებებითა და ზემდგომის რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს;

ა.ი) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ოპერატიული გეგმებიდან და ბრძანებებიდან გამომდინარე საბრძოლო ამოცანებში;

ა.კ) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

**ბ. I, II,III და IV კურსი:**

ბ.ა) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაზრდას;

ბ.ბ) კონტროლს უწევს დამტკიცებული სასწავლო პროგრამის შესაბამისად სწავლების მაღალხარისხიანად წარმართვას;

ბ.გ) კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს დაგეგმილი სასწავლო პროცესის შესრულებას, ორგანიზებას უკეთებს მის მიმდინარეობას;

ბ.დ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სასწავლო-მატერიალური ბაზის დაგეგმვასა და ორგანიზებაში;

ბ.ე) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს უსაფრთხოების ზომების დაცვას მეცადინეობის ჩატარების დროს;

ბ.ვ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს იუნკერთა/მსმენელთა ფიზიკური მომზადების ორგანიზებას;

ბ.ზ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს დისციპლინის კონტროლს;

ბ.თ) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

**გ. ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო და რეზერვის ოფიცერთა მომზადების კურსი:**

გ.ა) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაგეგმვას, ორგანიზებას და ჩატარებას;

გ.ბ) ახორციელებს კურსის პირადი შემადგენლობის პროფესიულ მომზადებას და სამხედრო დისციპლინის დაცვას;

გ.გ) უზრუნველყოფს სასწავლო მეთოდური მუშაობის ორგანიზებულად წარმართვას;

გ.დ) მონაწილეობას ღებულობს სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნაში და გაუმჯობესებაში, უზრუნველყოფს მის სწორ ექსპლუატაციას.

გ.ე) მონაწილეობს აკადემიის და სასწავლო ბატალიონის მასშტაბით დაგეგმილ ღონისძიებებში.

გ.ვ) უზრუნველყოფს უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას მეცადინეობის ჩატარების დროს;

გ.ზ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს მსმენელთა ფიზიკური მომზადების ორგანიზებას;

გ.თ) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. სასწავლო ბატალიონის დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულის უფროსი ხელმძღვანელობს და წარმართავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას, პასუხს აგებს სტრუქტურულ ერთეულზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

4. სასწავლო ბატალიონის პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება მათი სამუშაო აღწერილობებით, რომელსაც ამტკიცებს აკადემიის რექტორი.

**მუხლი 6. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ დოკუმენტის მიღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.